ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4280752

ნომერი: AR1642661

თარიღი : 07.11.2018

გაცემის თარიღი : 27.11.2018

გაცნობის თარიღი : 03.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობის II,III და IV მ/რ-ის მიმდებარედ(ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ ნაკვეთი N40); ქალაქი თბილისი , ქუჩა ელგუჯა ამაშუკელი , შესახვევი I , N 34 , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერ --- პ/ნ 01491017790
- ბათუმი შ.ხიმშიაშვილის ქ. N 49 ბ. 15-1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 07

ნოემბერს №AR1642661 განცხადებით მომართა მოჰამად ჰ. მ. ა. ხადერმა და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის ფერდობის II,III და IV მ/რ-ის მიმდებარედ (ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ ნაკვეთი N40)/ ქალაქი თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, I შესახვევი, N 34-ის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი 01.14.16.015.402) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 31 ივლისიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებას, კერძოდ, დამკვეთად მოჰამად ჰ.მ.ა. ხადერის (პ/ნ: 01491017790) ნაცვლად შპს ,,ელმულლა''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164441) დაფიქსირებას.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია მოჰამად ჰ.მ.ა. ხადერი (პ/ნ: 01491017790).
საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: N 892018781189 - 07/09/2018 11:32:47 მომზადების თარიღი: 07/09/2018 13:26:39) ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ნუცუბიძის ფერდობის II,III და IV მ/რ-ის მიმდებარედ (ინტენსიფიკაციის გზის ზემოთ ნაკვეთი N40)/ ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, I შესახვევში N 34-ის მიმდებარედ N 01.14.16.015.402 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ელმულლა'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164441).
მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით, შპს ,,ელმულლა''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164441) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მოჰამად ჰ.მ.ა. ხადერი (პ/ნ: 01491017790).
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ვინაიდან, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შპს ,,ელმულლა''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164441) გააჩნია ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებაში და დამკვეთად დაფიქსირდეს შპს ,,ელმულლა''-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164441).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 31 ივლისის №4079855 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.